

შპს „თელავი დისტრილერი“
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის

სარიგო

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განცხადება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.....	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-4
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-21

მენეჯმენტის პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელშიც წარმოდგენილია შპს „თელავი დისტილერის“ ფინანსური მდგომარეობა („კომპანია“) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგები, საკუთარი კაპიტალის ცვლილებები და ფულადი სახსრების მოძრაობა ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- საანგარიშგებო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და განხორციელება
- ინფორმაციის წარმოდგენა საანგარიშგებო პოლიტიკის ჩათვლით ისე, რომ მოწოდებული იქნას სანდო, შედარებადი და გასაგები ინფორმაცია
- დამატებითი განმარტების გაკეთება, როდესაც ფასს სტანდარტების კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებული ჩაწვდეს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების ეფექტს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის, როგორც მოქმედი საწარმოს მუშაობის უნარის შეფასება
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტება.
- მმართველობის ანგარიშის მომზადება ფინანსურ ანგარიშგებასთან შესაბამისობაში.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შექმნა, განხორციელება და შენარჩუნება;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რაც საკმარისია კომპანიის გარიგებების ასახვისა და ახსნისთვის და გონივრული სიზუსტით უნდა გაამჟღავნოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ნებისმიერ დროს და რაც მათ საშუალებას მისცემს უზრუნველყონ, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს მსს ფასს სტანდარტებს;
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის უსაფრთხოებისთვის გონივრული ნაბიჯების გადადგმა; და
- თაღლითობის ან სხვა დარღვევების თავიდან აცილება და აღმოჩენა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა 2021 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

ჯიმშერ გურგენიძე


გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2021

ნინო შუბითიძე

მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2021



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თელავი დისტილერის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თელავი დისტილერის“ („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით (ერთობლივად „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (მოქმედი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს მოქმედ საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაუქმანების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაუქმანების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

სბრუპი ჰაკობიანი

შპს დელოიტი და ტუშის სახელით

30 სექტემბერი 2021

შპს „თელავი დისტრილერის“
 მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (ლარებში)

	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი (გადაფასება)
შემოსავალი	4		
გაყიდვების თვითღირებულება	5	399,617 (830,818)	562,000 (834,186)
მთლიანი ზარალი		(431,201)	(272,186)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(38,067)	(11,891)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(248,760)	(292,679)
ასოცირებულ პირში ინვესტიციის შედეგების წილი	8	44,865	-
ფინანსური შემოსავალი		9,825	13,813
ფინანსური ხარჯები	12	(153,227)	(166,907)
საგრანტო შემოსავალი	12	62,205	91,166
სავალუტო ზარალი, წმინდა		(137,717)	(41,422)
სხვა ხარჯები, წმინდა		(5,308)	(2,327)
ზარალი გადასახადებამდე		(897,385)	(682,433)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(23)
წლიური ზარალი		(897,385)	(682,456)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(897,385)	(682,456)

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
 დირექტორი

30 სექტემბერი 2021
 თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
 მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
 თბილისი, საქართველო

9-21 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



მსხ „თელავი დისტილერია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)


აქტივები:	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	7	1,887,601	2,232,549
ინვესტიცია ასოცირებულ პირში	8	766,182	721,317
არამატერიალური აქტივები		8,771	5,504
გაცემული სესხები	9	159,898	182,969
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,822,452	3,142,339
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	825,096	588,026
გადახდილი ავანსები	11	168,816	470,420
ჩასათვლელი და წინასწარ გადახდილი გადასახადები, წმინდა		32,678	39,377
ფული და ფულის ეკვივალენტები		14,667	-
		21,861	495
სულ მიმდინარე აქტივები		1,063,118	1,098,318
სულ აქტივები		3,885,570	4,240,657
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
შეტანილი კაპიტალი		7,094,331	7,124,331
დაგროვილი ზარალი		(5,816,045)	(4,918,660)
სულ კაპიტალი		1,278,286	2,205,671
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
აღებული სესხები			
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	12	1,405,134	1,320,181
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,405,134	1,320,181
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები			
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	12	390,077	370,094
მიღებული ავანსები	13	780,726	280,732
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა, წმინდა *		31,347	18,262
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,202,150	714,805
სულ ვალდებულებები		2,607,284	2,034,986
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		3,885,570	4,240,657

კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მოგების გადასახადთან დაკავშირებული გადასახადები აჩვენოს მუხლში „გადასახადები, წმინდა“ და შეცვალოს 2019 წლის რიცხვების წარმოდგენის ფორმა.

ხელმძღვანელობის სახელით:


ჯიშერ გურგენიძე
დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო


ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო



შპს „თელავი დისტილერია“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის
 (ლარებში)

ნაშთი 1 იანვარი 2019

სულ სრული წლიური ზარალი
 შემოსავალი მეკავშირე მხარისგან
 ინვესტიციის შეძენისგან
 ნაშთი 31 დეკემბერი 2019

სულ წლიური ზარალი
 დამატებით შეტანილი კაპიტალის კლება
 ნაშთი 31 დეკემბერი 2020

შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
7,124,331	(4,302,299)	2,822,032
-	(682,456)	(682,456)
-	66,095	66,095
7,124,331	(4,918,660)	2,205,671
-	(897,385)	(897,385)
(30,000)	-	(30,000)
7,094,331	(5,816,045)	1,278,286

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
 დირექტორი

30 სექტემბერი 2021
 თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
 მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
 თბილისი, საქართველო



შენიშვნა	2020	2019
ზარალი მოგების გადასახადამდე		
კორექტირება:	(897,385)	(682,433)
ფინანსური შემოსავალი	(9,825)	(13,813)
ფინანსური ხარჯები	153,227	166,907
შემოსავალი ასოცირებულ პირში ინვესტიციიდან	(44,865)	-
მოთხოვნებსა და გადახდილ ავანსებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	-	10,126
ცვეთა და ამორტიზაცია	433,316	450,333
წმინდა სავალუტო ზარალი	137,717	41,422
ფულადი გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(227,815)	(27,458)
საბრუნავი კაპიტალის მოძრაობა:		
კლება/(ზრდა) სავაჭრო მოთხოვნებში	299,680	(61,556)
კლება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	6,699	(4,023)
ზრდა მარაგებში	(237,070)	(93,777)
(ზრდა)/კლება ჩასათვლელ და წინასწარ გადახდილ გადასახადებში, წმინდა	(60,384)	56,139
ზრდა სავაჭრო და სხვა გადასახდელებში	491,093	34,661
ზრდა მიღებულ ავანსებში	13,085	18,262
ოპერაციებში მიღებული/(გამოყენებული) ნაღდი ფული	285,288	(77,752)
გადახდილი პროცენტი	(79,551)	(116,029)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) ნაღდი ფული, წმინდა	205,737	(193,781)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე	(86,820)	(59,813)
კაპიტალური დანახარჯები არამატერიალურ აქტივებზე	(4,815)	(2,493)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	6,520
შემოსავალი გაცემული სესხებიდან	59,500	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(32,135)	(55,786)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი აღებული სესხებიდან	513,985	250,609
აღებული სესხების დაფარვა	(635,416)	-
შეტანილი კაპიტალის კლება	(30,000)	-
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	(151,431)	250,609
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	22,171	1,042
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	495	296
გამვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	(805)	(843)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	21,861	495

ხელმძღვანელობის სახელით:

ჯიმშერ გურგენიძე
დირექტორი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო

ნინო შუბითიძე
მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2021
თბილისი, საქართველო



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თელავის დისტილერია“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 2014 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია შინდისელი გმირის ქ. # 6 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს კონიაკის წარმოებას, ალკოჰოლის რეალიზაციას და დისტრიბუციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ასევე კომპანია ახორციელებს ჩამოსხმის მომსახურებას, ძირითადად მეკავშირე მხარეებისთვის.

2018 წლის 30 იანვარს კომპანიაში 100%-იანი წილი შეიძინა შპს „სმარტ კაპიტალ შილდა“, რომელიც რეგისტრირებულია თბილისში, საქართველოში.

2019 წლის ოქტომბერში კომპანიამ შეიძინა შპს „სმარტ ტრეიდიנגის“ 20%. აღნიშნული კომპანიის საქმიანობაში შედის კახეთის რეგიონში ტურიზმის განვითარება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

მეწილის სახელი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019ს
შპს „სმარტ კაპიტალ შილდა“	100%	100%

209 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო აქციონერი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი. 2020 წლის დეკემბერში საბოლოო აქციონერთა სტრუქტურა შეიცვალა შემდეგნაირად: ივანე ჩხარტიშვილი - 51%, მიხეილ ჩხარტიშვილი და ნათია ჩხარტიშვილი - 24.5% და 24.5% შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის („IFRIC“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციებით.

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს საფუძველზე და სააღრიცხვო პოლიტიკები მუდმივად გამოიყენება მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაანალიზა ბაზარზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

მოქმედი საწარმო. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის მოქმედი საწარმო და ის ფუნქციონირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

უცხოური ვალუტა - კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია მუშაობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი"). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გაცვლითი სხვაობით, მოცემულია წლიური სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

გაცვლითი კურსი წლის ბოლოს, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
GEL/USD	3.2766	2.8677
GEL/EUR	4.0233	3.2095

დაბალანსება. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების გადაფარვის კანონიერად აღსასრულებელი უფლება და არსებობს მიზანი წმინდა ანგარიშსწორების, ან მოხდება აქტივების აღიარება და პასუხისმგებლობის დაკისრება დაუყოვნებლივ. შემოსავალი და ხარჯი არ ანაზღაურდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ამას არ ითვალისწინებს რაიმე ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, და როგორც ეს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაშია ნაჩვენები.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა.

შემოსავლის აღიარება - კომპანია შემოსავალს აღიარებს, როცა: შემოსავლის ოდენობა სანდოდაა განსაზღვრული, სავარაუდოა, რომ სამომავლოდ ეკონომიკური მომგებიანობა აისახება ორგანიზაციაზე და კომპანიის აქტივობებთან დაკავშირებით შესრულდება ერთ-ერთი კრიტერიუმი, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

ა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია აწარმოებს და ყიდის მთელ რიგ კონიაკის პროდუქტებს საბითუმო ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდების და გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ, ამ დროს ყველა შემდეგი პირობაა დაკმაყოფილებული:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას იმ ხარისხით, როგორც წესი, ასოცირდება საკუთრებასთან და არც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობა ზუსტადაა აღრიცხული;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლიანობა კომპანიაზე აისახება;
- დაკისრებული ან დასაკისრებელი ღირებულებები სწორად იქნება განსაზღვრული.

ბ. შემოსავალი ჩამოსხმის მომსახურებიდან

შემოსავლი წარმოადგენს იმ შემოსავლის სამართლიან ღირებულებას, რომელიც მიიღება გაწეული მომსახურების სანაცვლოდ ბიზნესის ჩვეულებრივ წარმოებისას. შემოსავლის აღიარება იქამდე არ ხდება, სანამ კლიენტს მომსახურება არ გაეწევა.

(გ) შემოსავალი ქირიდან

შემოსავალი ქირიდან საინვესტიციო ქონებიდან აღიარდება წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში და შედის შემოსავალში.

იჯარა - იჯარები ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის აღიარება ხარჯად ხდება წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში. პირობითი იჯარა, რომელიც წარმოიქმნება საოპერაციო იჯარით, ხარჯად აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მისი გაწევა.

გადასახადები - საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია საანგარიშო თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კორპორატიული დაბეგვრის ამჟამინდელი მოდელის ცვლილება, რომლის ცვლილებებიც 2017 წლის 25 იანვარს განხორციელდა ყველა სუბიექტისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს გაუნაწილებელი მოგების კორპორატიული გადასახადის ნულოვან და განაწილებულ მოგებაზე 15% კორპორატიული გადასახადის განაკვეთს, წინა მოდელის 15% გადასახადის განაკვეთს, რომელიც კომპანიის მოგებას ითვალისწინებს გადასახადამდე, შენარჩუნების ან განაწილების სტატუსის მიუხედავად.

გადასახადო კანონმდებლობა 2017 წლის 1 იანვრიდანაა ძალაში. იგი კომპანიაზე ვრცელდება საგადასახადო ბაზისისათვის, რომელიც როგორც რეალურ, აგრეთვე ასეთად ჩათვლილ მოგების განაწილებას ეხება, მათ შორის:

- განაწილებულ მოგებაზე;
- დაკისრებულ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების მარაგზე ან/და ფონდის ტრანსფერზე; და
- წარმომადგენლობის ხარჯზე, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსში მოცემულ მაქსიმუმს.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარებულია როგორც ხარჯი იმ მომენტისთვის, როდესაც დივიდენდები დეკლარირდება და აღირიცხება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც „მოგების გადასახადი“. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები იზომება იმ თანხით, რომელიც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისგან იქნეს მიღებული ან გადახდილი. განაწილებული მოგების გარდა სხვა ერთეულებზე დაკისრებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალი ანგარიშგებაში, საგადასახადო ხარჯებში.

გადასახადების შეცვლილი კონცეფციის გამო, აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები არ გამოიყენება კორპორატიული დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები – ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რასაც გამოაკლდება აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ხარჯები, არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება დგინდება (ა) მისი შესასყიდი ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია იმპორტირების ხარჯები და შესყიდვასთან დაკავშირებული არა-დაბრუნებად გადასახადები, გაქვითული სავაჭრო ფასდაკლებები და შეღავათები; (ბ) ნებისმიერი ხარჯი, რაც გაიწევა აქტივის ისეთი ფუნქციონირებისათვის საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რაც კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ არის გამიზნული; (გ) იმ ხარჯების პირველადი შეფასება, რაც საჭირო იქნება საგნის დემონტაჟისა და გამოყოფისათვის და იმ ტერიტორიის აღსადგენად, სადაც ნივთი განთავსებული; (დ) კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებები ნივთის შეძენასა და ისეთ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არაა დაკავშირებული მარაგების წარმოებასთან; და (ე) განსაკუთრებული აქტივის შემთხვევაში, სასესხო ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზებულია კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	5%
ავტო და აქსესუარები	20%
საოფისე აღჭურვილობა	20%
მანქანა-დანადგარები	5-20%
სხვა	20%

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა

ძირითადი საშუალების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი. წინა შეფასებებში განხორციელებული ცვლილებები აისახება შეფასების შესაბამის წესებში სამომავლო გამოყენებისათვის.

ინვესტიციები ასოცირებულ პირებში: ასოცირებული საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირი თუ ირიბი), მაგრამ არა - კონტროლი, რაც თან ახლავს ხმის უფლებათა 20-დან 50 პროცენტამდე ფლობას. ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციები აღირიცხება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აღიარდება ხარჯად. ასოცირებული საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები აკლდება ასოცირებულ პირში არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. სხვა შესყიდვის შემდგომი ცვლილებები ასოცირებული პირის წმინდა აქტივებში კომპანიის კუთვნილ წილში აღირიცხება შემდეგნაირად: (1) ასოცირებული საწარმოს მოგება-ზარალში კომპანიის წილი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის უწყისში აღირიცხება როგორც ასოცირებული საწარმოს არსებობის ფინანსური შედეგის წილი, (2) სხვა სრულ შემოსავალში კომპანიის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილი იქნება განცალკევებულად, (3) ყველა სხვა ასოცირებულ საწარმოთა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში კომპანიის კუთვნილი წილის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში ასოცირებული პირის ფინანსური შედეგის წილად.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია პროგრამული უზრუნველყოფით. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივად სასარგებლო მომსახურების ხუთ წლამდე ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები - მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით ან რეალიზებადი ღირებულებით, ამ ორიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების გაყიდვის სავარაუდო ფასს, გამოკლებული დასრულების სავარაუდო ხარჯებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ხარჯების გამოკლებით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები არაა აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ისინი წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების შესაძლებლობა შორს არის. პირობითი აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობითობა რეალიზდება.

ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენის ან გამოცემისთვის (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალისა), ემატება ან გამოიქვითება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებიდან, როგორც საჭიროა, თავდაპირველი აღიარებისას. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეძენის ან ზარალის შეძენის შედეგად, მაშინვე შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, დაფარვის ვადით ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და მიზანზე და დგინდება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ნაღდი ფული, გაცემული სესხები და სავაჭლო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება სავალო ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური

ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული გულისხმობს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მიღებული თანხები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული და განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც წარმოდგენილი არაა აქტიურ ბაზარზე. სესხები და სხვა ტიპის მიღებული თანხები იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოწმდება გაუფასურების ნიშნებზე. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად ითვლება, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად ინვესტიციის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები დაზიანდა.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალი აკლდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის ანგარიში უიმედოდ ითვლება, ის ჩამოიწერება ანარიცხების ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აისახება ანარიცხების ანგარიშზე. ამ ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოიწურება აქტივიდან ფულადი სახსრების სახელშეკრულებო უფლებები, ან როდესაც იგი გადასცემს ფინანსურ აქტივს და არსებითად საკუთრების ყველა რისკს და სარგებელს სხვა ორგანოს. სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარებულ და მიღებულ ან მისაღები ანაზღაურებას შორის აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშებაში.

ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს და აღებულ სესხებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შეწყდება ან ვადა გაუვა. სხვაობა აღიარებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება შემოსავლის ანგარიშებაში.

შეტანილი კაპიტალი - შეტანილი კაპიტალი კომპანიის მიერ აღიარებულია მის მიერ მიღებული რეალური შენატანის ღირებულების მიხედვით.

3. კრიტიკული სადრიცხო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

მენიშენაში #2-ში ჩამოთვლილი სადრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სადრიცხო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება - კომპანიამ აღიარა უიმედო მოთხოვნების ანარიცხები 100% -ით ყველა მისაღები მოთხოვნის მიმართ 1 წლის განმავლობაში, რადგან ისტორიული გამოცდილების თანახმად, მოთხოვნები, რომელთა ვადაგადაცილებული იყო 1 წლის განმავლობაში, არ ანაზღაურდება. უიმედო მოთხოვნების ანაზღაურება აღიარებულია სავაჭრო თანხების მიმართ 181 დღიდან 1 წლამდე, ხოლო საექვო დავალიანების ანაზღაურება 20% სავაჭრო მოთხოვნებზე 91 დღიდან 180 დღემდე.

გარდა ამისა, სავაჭრო მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება იმას, თუ როგორ აფასებს მენეჯმენტი ინდივიდუალური კლიენტის მოთხოვნის ანგარიშის ამოღების ალბათობას. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, იმის ალბათობა, რომ კლიენტმა შეიძლება განიცადოს გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზება, აგრეთვე დეფოლტი ან გადაუხდელობა იმის ინდიკატორად ითვლება, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებისგან, თუკი ძირითადი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესება მოხდება, ან დეფოლტის რეალური შედეგები უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები.

მეკავშირე მხარის დაფინანსების ოპერაციების საწყისი აღიარება. კომპანია ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს მეკავშირე მხარეებთან. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი უფრო დაბალი საბაზრო ან არასაბაზრო პროცენტით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი ოპერაციებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველია მსგავსი ტიპის ტრანსაქციების ფასი დაუკავშირებელ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ძირითადი საშუალებების გაუფასურების შეფასება. მენეჯმენტი ახორციელებს გაუფასურების ტესტს ძირითად საშუალებებზე რათა შეაფასოს კომპანიის აქტივების უნარი მომავალი ფულადი ნაკადების წარმოქმნის თვალსაზრისით. მომავალი ფულადი ნაკადების განსაზღვრა მოითხოვს მნიშვნელოვან განსჯას.

4. შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის შემოსავლები შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	284,295	205,778
შემოსავალი ჩამოსხმის მომსახურებიდან	115,322	327,673
საიჯარო შემოსავალი	-	28,549
სულ	399,617	562,000

5. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგებოდა:

	2020	2019
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	697,499	700,327
ჩამოსხმის მომსახურების თვითღირებულება	133,319	111,896
საიჯარო შემოსავლის თვითღირებულება	-	21,963
სულ	830,818	834,186

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა:

	2020	2019
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	131,974	134,240
კონსულტაციის ხარჯები	31,624	37,686
საოფისე მასალები	29,069	27,689
ქირის ხარჯები	20,110	1,743
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	14,909	28,030
გაუფასურების ხარჯები	-	10,126
სხვა საოპერაციო ხარჯები	21,074	53,165
სულ	248,760	292,679

7. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ძირითადი საშუალებების მოძრაობას:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე ტექნიკა, ავტო და აქსესუარები	სულ
თვითღირებულება					
31 დეკემბერი 2018	26,310	2,087,959	1,353,974	194,478	3,662,721
დამატება	-	-	36,848	45,471	82,319
რეალიზაცია	(1,706)	(146,306)	(6,520)	-	(154,532)
31 დეკემბერი 2019	24,604	1,941,653	1,384,302	239,949	3,590,508
დამატება	-	1,500	85,320	-	86,820
31 დეკემბერი 2020	24,604	1,943,153	1,469,622	239,949	3,677,328
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	-	204,132	684,642	67,540	956,314
წლის დარიცხვა	-	103,222	271,969	38,599	413,790
ცვეთა რეალიზაციისას	-	(11,220)	(800)	(125)	(12,145)
31 დეკემბერი 2019	-	296,134	955,811	106,014	1,357,959
წლის დარიცხვა	-	97,177	321,230	13,361	431,768
31 დეკემბერი 2020	-	393,311	1,277,041	119,375	1,789,727
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2020	24,604	1,549,842	192,581	120,574	1,887,601
31 დეკემბერი 2019	24,604	1,645,519	428,491	133,935	2,232,549

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მთლიანი ძირითადი საშუალებები გამოყენებული აქვს საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 12).

8. ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოში

2019 წლის ოქტომბერში კომპანიამ შეისყიდა შპს „სმარტ ტრედიდინგის“ წილის 20%. შპს „სმარტ ტრედიდინგის“ ამოცანა კახეთის რეგიონში მარნეთთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინვესტიციის ღირებულება განისაზღვრა, როგორც გადასახდელი ანაზღაურება ტრანზაქციის თარიღისათვის, რამაც შეადგინა 250,000 აშშ დოლარი. მისი ეკვივალენტი თანხა ლარში ტრანზაქციის დღეს იყო 739,925 ლარი.

კომპანიამ სახელშეკრულებო ვალდებულების შესასრულებლად პირს გადასცა საინვესტიციო ქონება. ძირითადი საშუალების რეალური ღირებულება გამოყენებული იქნა გადაცემული ანაზღაურების ღირებულების დასადგენად, რამაც შეადგინა 683,000 ლარი. შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია ვალდებულება 56,925 ლარის ოდენობით.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანიამ, გადაცემული ქონების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის გამო აღიარა მოგება 66,096 ლარის ოდენობით. მოგება აღიარდა

კაპიტალში, რადგან ის წარმოადგენდა ტრანზაქციას მეკავშირე მხარესთან.

კომპანიამ 44,865 ლარი აღრიცხა როგორც ასოცირებულ პირში ინვესტიციის შედეგით მიღებული შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს. შესაბამისად, ასოცირებულ პირში ინვესტიციის ღირებულება ამ თანხით გაიზარდა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 766,182 ლარი.

9. გაცემული სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხების პირობები შემდეგი იყო:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია	USD	9%	ივლ-22	126,912	78,080
კახეთი 3000	USD	9%	აგვ-23	32,986	104,889
სულ გაცემული სესხები				159,898	182,969

ორივე სესხი მეკავშირე მხარეებზეა გაცემული და მათი დაფარვა მოხდება ვადის გასვლისას.

10. მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგები შემდეგნაირი იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დასრულებული საქონელი	452,727	41,729
ნედლეული	291,908	508,352
მიმდინარე სამუშაო	41,402	33,597
სხვა	39,059	4,348
სულ	825,096	588,026

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	178,706	480,177
სხვა მოთხოვნები	236	369
მოთხოვნების რეზერვი	(10,126)	(10,126)
სულ	168,816	470,420

14. აღებული სესხები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი აღებული სესხების პირობები იყო შემდეგი:

აღებული სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
„ხალიკ ბანკ ჯორჯია“	GEL	14%	07/02/2022	439,819	692,557
სულ აღებული სესხები				1,795,211	1,690,275
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				390,077	370,094
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				1,405,134	1,320,181

აღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით გირაოს საფუძველზე (იხ. შენიშვნა 7).

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან ("APMA"), რომლის თანახმად, APMA აფინანსებს ხალიკ ბანკი საქართველოს 14%-იანი სესხის პროცენტიდან 11%-ს. თანადაფინანსების ხანგრძლივობაა 66 თვე და APMA წარმოადგენს ძირითადი თანხის 50%-ის გარანტს, თუ უზრუნველყოფის რეალიზაცია არ დაფარავს ფინანსური ინსტიტუტის წინაშე ვალდებულებას.

შემოსავალი APMA-დან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში წარმოადგენს 62,205 ლარსა და 91,166 ლარს შესაბამისად და კლასიფიცირდება როგორც საგრანტო შემოსავალი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში აღებულ სესხებზე დარიცხული ფინანსური ხარჯები შეადგენდნენ 153,227 და 166,907 ლარს შესაბამისად.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მისი ნასესხები სახსრებისთვის, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
<3 თვე	125,625	75,484
3-12 თვე	264,452	294,610
>12 თვე	1,405,134	1,320,181
	1,795,211	1,690,275

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები შეადგენდა:

მოკლევადიანი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო გადასახდელები	624,327	220,663
გადასახდელები ინვესტიციების შესყიდვის შედეგად	56,925	56,925
ქირის გადასახდელები	22,845	-
გადასახდელი ხელფასები	3,692	2,417
სხვა გადასახდელები	72,937	727
სულ	780,726	280,732

16. მეკავშირე მხარეთა ტრანზაქციები და ნაშთები

თითოეული შესაძლო მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები მეკავშირე მხარეებთან:

31 დეკემბერი 2020			
უმაღლესი ხელმძღვანელობა	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
გაცემული სესხები	-	126,912	32,986
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	32,247	20,628
აღებული სესხები	-	1,355,392	-
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	16,504	476,105	41,839
			159,898
			168,816
			1,795,211
			780,726
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის			
უმაღლესი ხელმძღვანელობა	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
შემოსავალი	-	101,975	160,595
ფინანსური შემოსავალი	-	9,825	-
ფინანსური ხარჯი	-	77,633	-
			399,617
			9,825
			153,227
31 დეკემბერი 2019			
უმაღლესი ხელმძღვანელობა	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
გაცემული სესხები	-	104,890	78,079
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,502	-	78,892
აღებული სესხები	-	-	997,945
სავაჭრო და სხვა	-	22,660	99,280
		19	182,969
			470,420
			1,690,275
			280,732

31 დეკემბერი 2019

გადასახდელები

	უმაღლესი ხელმძღვანე ლობა	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა მეკავშირე მხარეები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის				
შემოსავალი	5,502	139,787	240,878	562,000
ფინანსური შემოსავალი	-	7,667	6,146	13,813
ფინანსური ხარჯი	-	52,013	-	166,907

ძირითადი მმართველი პერსონალის ანაზღაურება

2020 და 2019 წლების განმავლობაში ძირითადი მმართველი პერსონალის ანაზღაურება განისაზღვრა 16,504 ლარითა და 46,075 ლარით, შესაბამისად.

17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არსებითი გარანტიები არ ჰქონია.

სამართალწარმოება - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე დავის სამართალწარმოებაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება არ მოხდება და შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული დებულებები.

გადასახადები - კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, ვინაიდან მენეჯმენტის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოებისგან, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება გააპროტესტონ გარიგებები და შედეგად კომპანიას შეუძლიათ დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. საგადასახადო წლები საგადასახადო ორგანოების განსახილველად 6 წლის განმავლობაში რჩება.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, სხვადასხვა რისკის ქვეშ იმყოფებიან, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ და სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში მოქმედი კანონები და რეგულაციები სწრაფად ვითარდებიან საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარევებით, რომლებიც განიცდიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ასევე სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოში განვითარებული მოვლენები.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რაც მეტწილად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაუხსნა, უფრო მეტი მოსალოდნელია, რადგან საქართველოს სამოქმედო გეგმა ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად განაგრძობს განვითარებას.

კოვიდ-19 - გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან კორონავირუსის ახალი დაავადება (COVID-19) დაიწყო სწრაფად გავრცელებული მთელ მსოფლიოში, რის შედეგადაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიის სტატუსი გამოაცხადა 2020 წლის მარტში. მრავალი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები, რომელიც უკავშირდება COVID-19-

ის გავრცელებას, მრავალი კომპანიისთვის მნიშვნელოვან დარღვევას იწვევს ოპერაციებში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. რადგან ვითარება სწრაფად ვითარდება, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნესზე ფართო სექტორის სექტორში, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი ზემოქმედებით, როგორიცაა ბიზნეს საქმიანობის შეფერხება ბიზნესის შეწყვეტის შედეგად. შედეგად, კომპანიას შეიძლება შეექმნას COVID-19- ის სულ უფრო ფართო ზემოქმედება გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე უარყოფითი გავლენის შედეგად.

კომპანიის მენეჯმენტი აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებებს და იღებს საჭირო ზომებს უახლოეს მომავალში კომპანიის სტაბილურობისა და განვითარების შესანარჩუნებლად. თუმცა, COVID-19- ის ეფექტის მნიშვნელობა კომპანიის საქმიანობაზე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოში და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობაზე და გავრცელებაზე. ამჟამად ოპერაციების მომავალ შდეგებზე და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ეკონომიკური გარემოს ცვლილების ეფექტის განჭვრეტა ამჟამად რთულია.

16. მოვლენები საანგარიშგებო წლის შემდეგ

2021 წელს კომპანიამ სს „ხალიკ ბანკ ჯორჯიასგან“ არსებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით მიიღო 99,491 აშშ დოლარის სესხი.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა და გამოსაშვებად ნება დართო 2021 წლის 30 სექტემბერს.